მცირე გამყინვარება, პალეო გეოგრაფიული გარემოს ცვლილება და თანამედროვე მდგომარეობა

<u>დავით სვანაძე</u>

ელ.ფოსტა: dato.svanadze@ens.tsu.edu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

დედამიწის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბუნებრივი და გეოგრაფიული გარემო წარმოადგენს კაცობრიობის საცხოვრებელი ერთადერთ სივრცეს. ადამიანის გაჩენის პერიოდიდან მოყოლებული მათი ურთიერთქმედება უწყვეტად მიმდინარეობს და შექცევადი ხასიათი აქვს. განვითარების ამჟამინდელ საფეხურზე ადამიანმა გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისება მოახდინა და მნიშვნელოვან გავლენას მასზე, ამავდროულად ბუნებრივი გარემო განაპირობებს უპირატესად კაცობრიობის განვითარების მიმართულებებს და ტენდენციებს. ამ მხრივ ალბათ ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კლიმატი, მისი თანამედროვე მდგომარეობა, წარსული კლიმატური პარამეტრების განვითარების ისტორია და სამომავლო პროგნოზი. დედამიწაზე კლიმატის ცვლილება მუდმივად მიმდინარეობს და ამჟამადაც ადგილი აქვს გლობალური დათბობის ტენდენციას, რომლიც მოჰყვა შუა საუკუნეების პერიოდში XIII-XIX სკ-ში. ე.წ „მცირე გამყინვარების“ პერიოდს. მართალია, რომ მცირე გამყინვარების სტადია ეს არ წარმოადგენს კლასიკური გამყინვარების პერიოდს, რომლიც ≈ 100 ათას. წელს მოიცავს, მაგრამ ეს პერიოდი იყო კაცობრიობის განვითარების უკანასკნელი ეტაპისათვის უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული და კლიმატური ფენომენი, რომელმაც მრავალი მიმართულებით იქონია გავლენა და შეცვლა ადამიანთა სოციუმის ცხოვრების და განვითარების ტენდენციები. დაახლოებით 2 C^0 კლიმატის აცივებამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საკვებ რესურსებზე, მის რაოდენობაზე, გეოგრაფიული განედების მიხედვით გადანაწილებაზე. საკვების სიმცირეს თან ახლდა სხვადასხვა დაავადების ფართო განვითარება, მოსახლეობის ეპიდემიური ავადობა, საყოველთაო შიმშილი. ყოველივე ამ ფონზე მეტი რესურსების ხელში ჩაგდების მიზნით დაპყრობით ომების გახშირება, ახალი ტერიტორიების დაპყრობის სურვილის გაძლიერება სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან. ეკლესიის მხრიდან ამინდთან და საკვებთან დაკავშირებული საკრალური რიტუალების და რელიგიური საკითხების გამძაფრება. აღნიშნულმა, მცირე პერიოდის ≈ 3-4 საუკუნე ტემპერატურის ცვლილებამ ძირეულად შეცვალა და გავლენა იქონია კაცობრიობის განვითარების მომავალი ტენდენციებზე. ყოველივე ამან აჩვენა რამდენად მყიფეა საზოგადოება მსგავსი ცვლილებების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე მცირე გამყინვარების პერიოდის ისტორიულ და გეოგრაფიული რაკურსით შესწავლა მნიშვნელოვანია რამდენადაც შესაძლოა წარსული გამოცდილება ქვაკუთხედი გახდეს საზოგადოების მომავალი განვითარებისა.